ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

II კვარტალი, 2022 წელი

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

<u>ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია</u>

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირთან ერთად, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანიას, 2020 წლიდან დღემდე, მუდმივ რეჟიმში აწარმოებს. კამპანიის მიზანია ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საფრთხეების, სამინისტროს მიერ ამ კუთხით განხორციელებული რეფორმების და მიღწეული შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში მოიაზრება: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული.

  2022 წლის 12 აპრილს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ვიდეორგოლების ჩვენება შედგა. აღნიშნული ღონისძიება გაშუქდა დღის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში და სხვა მედიასაშუალებებშიც.

  ოთხი ვიდეორგოლი, რომლებიც ოთხივე მიმართულებას მოიცავს, 12 აპრილიდან, ორი კვირის განმავლობაში, სატელევიზიო სარეკლამო ეთერებში გადიოდა, აგრეთვე, ვიდეორგოლები განთავსდა სოციალურ ქსელში.

  2022 წლის მეორე კვარტალში სამინისტროს ოფიციალურ პლატფორმებსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის „Facebook“-ის გვერდზე ინტენსიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ორგანიზებული

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა აკადემიის მსმენელებთან, სადაც გაიმართა დისკუსია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და მექანიზმების შესახებ.

კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალი „პოლიციის ფაილები“

- 2022 წლის მაისსა და ივნისში, ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში გავიდა „პოლიციის ფაილების“ მეოთხე სეზონის 5 სერია, რომელიც მიზნად ისახავს, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებაში პოლიციის ნდობის გაზრდას რეალური შემთხვევების ჩვენებითა და შესაბამისად, პოლიციის საქმიანობის დეტალების გაცნობის გზით. აღნიშნული 5 სერია შემდეგ თემატიკა მოიცავდა:

  1. ბათუმის ტრაგედია - სერია მიეძღვნა 2021 წლის 8 ოქტომბრის ბათუმის ტრაგედიას. ფილმში ნაჩვენები იყო მეხანძრე-მაშველების ყველა ქმედება, რეალური კადრები, თუ რა შრომის გაწევა მოუწიათ მეხანძრე-მაშველებს ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების გადასარჩენად.

  2. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი - სერიაში ნაჩვენები იყო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ფუნქციები, მათი ამოცანები და გამოწვევები. კერძოდ ყოველდღიურ რეჟიმში როგორ ხორციელდება სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებების შესრულება.

  3. შანაი ბრუკის საქმე - გახმაურებული მკვლელობის საქმე, სადაც ნაჩვენები იყო სამინისტროს დანაყოფების კოორდინირებული, ოპერატიული და პროფესიონალური მუშაობა.

  4. ნარკორეალიზატორები - ორგანიზებულ დანაშაულთან უკომპრომისო ბრძოლა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნულ სერიაში განხილული იყო ნარკორეალიზატორების საქმე, სადაც სქემაში ჩართული იყო მცირეწლოვანი ბავშვი. სერიაში ნაჩვენები იყო ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მეთოდები და ასევე, დანაშაულში ჩართულ ბავშვებთან პოლიციის მუშაობის სპეციფიკა.

  5. სექსუალური ძალადობა მოზარდზე - შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სექსუალურ ძალადობაზე სათანადო რეაგირების განხორციელება ერთ-ერთ

პრიორიტეტს წარმოადგენს. მსგავსი შინაარსის სისხლის სამართლის საქმეებში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა მნიშვნელოვან და მგრძნობიარე მიმართულებას წარმოადგენს. სერიაში ნაჩვენები იყო არასრულწლოვანზე ძალადობის მძიმე შემთხვევა, პოლიციის მიერ გატარებული ღონისძიებები და ასევე, გაჟღერებული იყო პრევენციული რეკომენდაციები, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს. სამინისტრო სისტემატურად ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებული გამომძიებლების დამატებით გადამზადებას, მათ შორის სპეციალიზაციას სქესობრივი დანაშაულების გამოძიების კუთხით.

თითოეულ სერიაში ნათლად ჩანს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დამოკიდებულება, პროფესიონალიზმი, სიყვარული საქმისა და ქვეყნის მიმართ. სერიები ასევე განთავსდა სამინისტროსა და სხვადასხვა რელევანტური დანაყოფის ოფიციალურ არხებზე („Facebook“-ვებგვერდები, „youtube“ არხი).

<u>საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება</u>

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

  კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, 2022 წლის 28 მარტიდან სავალდებულო გახდა მოპედისა და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია და „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვება. ამ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია ტელევიზიით და სოც. ქსელის მეშვეობით.

  აგრეთვე, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდა რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში ტარდება. გამოცდის პირველი ეტაპის - დახურულ მოედანზე ელემენტების წარმატებით დაძლევის შემდეგ, მძღოლობის კანდიდატი ინაცვლებს გამოცდის მეორე ეტაპზე - რეალურ საგზაო მოძრაობაში. "B" და "BE" კატეგორიის მართვის უფლების მინიჭებისთვის პრაქტიკული გამოცდის მე-2 ეტაპი 2022 წლის 25 აპრილიდან ამოქმედდა,

ხოლო სხვა კატეგორიებისთვის/ქვეკატეგორიებისთვის 2022 წლის 7 ნოემბრიდან ამოქმედდება. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა გრაფიკული ვიდეორგოლი, რომელიც გავიდა სატელევიზიო სარეკლამო ეთერებში, სოციალური რეკლამის სტატუსით.

ცვლილებებთან დაკავშირებით დაიგეგმა მედიაეთერები: გადაცემაში სტუმრობა, პირდაპირი ჩართვები პრაქტიკული საგამოცდო მოედნიდან. ასევე, მომზადდა ვრცელი სიუჟეტები მართვის მოწმობის მიღების პროცესის შესახებ. პარალელურად შეიქმნა „საინფორმაციო ბარათები“ (ქარდები), რომლებიც რამდენიმე დღის ინტერვალით განთავსდა სოციალურ ქსელში. ქარდები შინაარსობრივად მოიცავდა გამოცდის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას, გამოცდის ჩაბარების ვადას, საგამოცდო მარშრუტების შესახებ ინფორმაციას და სხვ.

<u>საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი</u>

2022 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება მცხეთის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფმა მოქალაქეებს საინფორმაციო და საგამოფენო თემატურ სტენდებთან უმასპინძლა, ასევე, წარმოდგენილი იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სასაზღვრო პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეცტექნიკა, აღჭურვილობა და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი.

მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საინფორმაციო ზონაში გასცნობოდნენ უწყების მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად გადადგმულ ნაბიჯებს და წარმატებულ რეფორმებს.

საგამოფენო სივრცის მთავარ შესასვლელთან განთავსებული იყო საპატრულო პოლიციის სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის იმიტირებული პუნქტი, სადაც სტუმრები გადიოდნენ „სასაზღვრო კონტროლს“ და იღებდნენ საინფორმაციო რუკას, თუ რომელ ზონებს უნდა სწვეოდნენ.
ქალაქ მცხეთაში, ღონისძიებაზე მისულ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ "112"-ში შემოსული რეალური ზარები მოესმინათ, ასევე, "112"-ის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილ სერვისებს გასცნობოდნენ.

ცენტრალურ საგამოფენო სივრცეში სტუმრებს შეეძლოთ, დაეთვალიერებინათ სტენდები, სადაც განთავსებული იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობების და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ამსახველი მასალები.
ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა განხორციელდა, ასევე მოწყობილი იყო გასართობი სივრცეები:
➢ მომსახურების სააგენტომ პატარა დამთვალიერებლებს იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლა და ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო გამოცდის ჩაბარებას სთავაზობდა;
➢ საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწყობილი იყო იმიტირებული შემთხვევის ადგილი, ასევე, ბავშვებს შეეძლოთ, დეტალურად გასცნობოდნენ, თუ როგორ ხდება თითის ანაბეჭდების აღება;
➢ სასაზღვრო პოლიციამ წარმოადგინა სანაპირო დაცვის მცურავი საშუალების - გემის 2D მაკეტი;
➢ დაცვის პოლიციამ პატარა სტუმრებისთვის მოაწყო იმიტირებული დაცული სახლი და მათ სხვადასხვა სახალისო შემეცნებით აქტივობას სთავაზობდა;
➢ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა გამართა საინფორმაციო-შემეცნებითი შოუ, მეხანძრე-მაშველების მონაწილეობით;
➢ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“ მოზარდებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მონაწილეობას სთავაზობდა, საიდანაც ბავშვები ეცნობოდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებულ ბავშვებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

17:10 საათზე, ზუსტად იმ დროს, როდესაც 1918 წელს ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მცხეთაში, როგორც მთელი საქართველოს მასშტაბით, ევროკავშირისა და საქართველოს ჰიმნები გაჟღერდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო მცხეთაში მთელი დღის განმავლობაში მასპინძლობდა სტუმრებს, საღამოს კი ღონისძიება კონცერტით დასრულდა.

ღონისძიების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად გაშუქდა ტელევიზიების, სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური გვერდებისა და სოც. ქსელების მეშვეობით.

<u>პოლიციელის დღე - 31 მაისი</u>

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელის დღე აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებას, რომელიც თბილისში, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინ გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის წევრები, დეპუტატები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაესწრნენ.

  საზეიმო აღლუმში მონაწილეობდნენ: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი; საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი; სასაზღვრო პოლიცია; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური; ობიექტების დაცვის დეპარტამენტი; ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი; საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი; დაცვის პოლიციის დეპარტამენტი; „112“; მომსახურების სააგენტო და მილსადენების დაცვის დეპარტამენტი. ჯამში ღონისძიებას სამინისტროს 800-ზე მეტი თანამშრომელი დაესწრო.

  შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საზეიმო მსვლელობის შემდეგ, მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და მათ სიტყვით მიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგ, პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმაც.

  ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნას. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა წარმატებული პოლიციელები სამინისტროს სხვადასხვა სახის მედლებით დააჯილდოვა. პოლიციელთა დაჯილდოების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურსანტებმა პოლიციელის ფიცი დადეს.

  ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასასრულს, მომღერალმა ოთო ნემსაძემ და ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“ შეასრულეს სპეციალურად "პოლიციელის დღე 2022"-ისთვის დაწერილი სიმღერა - „ვემსახურები საქართველოს!“.

  პოლიციელის დღის პირდაპირი ეთერი გავიდა, როგორც სატელევიზიო ეთერებში, ასევე, სოციალურ ქსელში. დღის განმავლობაში განხორციელდა ჩართვები ადგილიდან. აგრეთვე, შუადღის საინფორმაციოებში გავიდა ნიუსი და საღამოს ეთერებისთვის მომზადდა სიუჟეტები. პოლიციელის დღის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა სხვა მედიასაშუალებებშიც.

<u>პოლიციელის დღესთან დაკავშირებული პროექტები</u>

- მაისის თვე მთლიანად დაეთმო პოლიციის იმიჯისა და რეპუტაციის გაძლიერებას. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტროს დანაყოფების მონაწილეობით შეიქმნა **საიმიჯო ვიდეორგოლი - „ვემსახურები საქართველოს“**, სადაც წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების საქმიანობა. აღნიშნული ვიდეორგოლი განთავსდა სოციალურ ქსელსა და სატელევიზიო ეთერში (5 ტელეარხზე).
- გარდა ამისა, მომზადდა ორი პროექტი:
    - ვიდეოპროექტი - **„პასუხები ამ ფორმით“,** რომელიც მოიცავდა 10 მოკლემეტრაჟიან ვიდეორგოლს, რომლებშიც მონაწილეობენ: დაცვის პოლიციის თანამშრომელი, მესაზღვრე, პატრული-ინსპექტორი, მეხანძრე-მაშველი, „112“-ის თანამშრომელი, მართლწესრიგის ოფიცერი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მებრძოლი, სასაზღვრო პოლიციის მფრინავი და სანაპირო დაცვის წარმომადგენელი.
    - ფოტოპროექტი **„მორიგე“** - პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფოტობანერები, სადაც გამოსახულნი არიან სამინისტროს დანაყოფების წარმომადგენლები, მუშაობის პროცესში.

    ვიდეოპროექტი და ფოტობანერები გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში.

- პოლიციელების შვილებზე მომზადდა ვიდეორგოლი, სადაც ბავშვები მშობლების საქმიანობაზე საუბრობენ და მათ პროფესიულ დღეს ულოცავენ. აღნიშნული ვიდეორგოლი განთავსდა სოციალურ ქსელში.

- 31 მაისისთვის, საქართველოს მასშტაბით განთავსდა პოლიციელების ფოტოები ბილბორდებზე, აგრეთვე, ერთი კვირის განმავლობაში, რამდენიმე ქალაქში, ლედ-მონიტორებზე გადიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საიმიჯო ვიდეორგოლი.

<u>საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“</u>

- **18 მაისი, 2022 წელი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ - ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლების 100-მდე მოსწავლე ეწვია. მოსწავლეები გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს გაეცნენ.

  „112“-ის წარმომადგენელმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდა, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი სიტუაციების დროს და როგორ ითანამშრომლონ ოპერატორთან.

  მოსწავლეებს ასევე განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და ის სანქციები, რაც გათვალისწინებულია ცრუ ზარის დროს.

  აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.

- **19 ივნისი** - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მოზარდებთან მსგავსი ტიპის ღონისძიებებს სისტემატურად ატარებს. ანალოგიური ვიზიტები განხორციელდა ივნისის თვეშიც. „112“-ს კერძო და საჯარო სკოლების 500-მდე მოსწავლე ეწვია. მოსწავლეები გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს გაეცნენ. ინფორმაცია განთავსდა „112“-ის ოფიციალურ „Facebook“-ის გვერდსა და ოფიციალურ ვებგვერდზე.

<u>ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი</u>

6, 8, 9, 10, 13, 14, 15, 20 და 21 ივნისს, კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან ერთად, საქართველოს ყველა რეგიონში, ათობით სკოლაში გამართეს საინფორმაციო შეხვედრები, რომლებსაც ჯამში 800-ზე მეტი ბავშვი ესწრებოდა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო შედეგების და მის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოს და

საზოგადოების როლის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. კამპანიის ფარგლებში დარიგდა ბრენდირებული ჩანთები, ჭიქები, ბუკლეტები, მაისურები და სხვ.

ასევე, კამპანიის ფარგლებში მომზადდა 2 საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლი. კამპანიის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად გაშუქდა მედიასაშუალებების, სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური გვერდისა და სოციალურ ქსელის მეშვეობით.

<u>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</u>

- **21 აპრილი -** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ქალაქ ქუთაისის №33 საჯარო სკოლაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება ჩაატარა. სამსახურის წარმომადგენლებმა მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდეს საგანგებო სიტუაციების ტიპების, მათი პრევენციის, ევაკუაციის პროცედურების და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ. მეხანძრე-მაშველებმა, წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით, სკოლის შენობაში სიმულაციური საგანგებო სიტუაცია შექმნეს და დააკვირდნენ, თუ როგორ გამოიყენეს პრაქტიკაში მოსწავლეებმა ორგანიზებული ქცევის შესახებ მიღებული ცოდნა. სწავლების ფარგლებში, მეხანძრე-მაშველებმა ჩაატარეს ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება. აღნიშნული ღონისძიების შესახებ ინფორმაცია განთავსდა საგანგებო სიტუაციების სამსახურის ოფიციალურ გვერდსა და „Facebook“-ის გვერდებზე.
- **7 მაისი** - კერძო სკოლის "ჯეჯილი" მეორე კლასის მოსწავლეები საგანგებო სიტუაციების მართვის თბილისის მთავარ სამმართველოს ესტუმრნენ. ბავშვებმა მთავარი სამმართველოს ტერიტორიაზე არსებული მუზეუმიც დაათვალიერეს, სადაც სპეციალური ტექნიკა: ხანძარსაქრობი ტექნიკური აღჭურვილობა, სხვადასხვა პერიოდის სახანძრო მანქანები, მეხანძრეთა სამოსელი, სახანძრო კოშკურა, მაკეტები და ფოტოებია განთავსებული. მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ უსაფრთხოების ნორმებს. ინფორმაცია განთავსდა ოფიციალურ გვერდზე და სოციალურ ქსელში.
- **14 მაისი** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თბილისის მთავარ სამმართველოს თბილისის №170 ბაგა-ბაღის აღსაზრდელები სტუმრობდნენ. ბავშვებისთვის სპეციალური გაკვეთილი ჩაატარეს სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების ექსპერტებმა. მოსწავლეების და აღმზრდელების სტუმრობის მთავარ მიზანს მუზეუმის დათვალიერება და უსაფრთხოების ნორმების

დეტალური გაცნობა წარმოადგენდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მზაობის გასაზრდელად.

- **20 მაისი** - შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბათუმში, სკოლა "ევრო-2000"-ში საგანგებო სიტუაციის სიმულაცია ჩაატარეს. მეხანძრე-მაშველებმა, წინასწარ განსაზღვრული სცენარის მიხედვით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოახდინეს და სკოლის წარმომადგენლებს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შესახებ ცოდნა გაუზიარეს.
- **2 ივნისი** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კახეთის მთავარ სამმართველოს ქალაქ თელავის №6 საჯარო სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ. ღონისძიების ფარგლებში, მოზარდებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ სპეციალური ტექნიკა და დასწრებოდნენ საჩვენებელ სახანძრო-სამაშველო სწავლებას.
- **4 ივნისი** - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დამამთავრებელი კურსის 100-მდე იუნკერი ესტუმრა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა მომავალი ოფიცრებისთვის საჩვენებელი სწავლება ჩაატარეს. ღონისძიების ფარგლებში, საჩვენებელი სწავლება რამდენიმე კუთხით განხორციელდა. სამსახურის ბაზაზე წარმოდგენილი იყო სიმულაციები ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების, სამთო-სამაშველო, ურბანული და ავტომანქანის ხანძრის ქრობის მიმართულებით. გარდა ამისა, მოეწყო სამაშველო ბატუტის შესაძლებლობების დემონსტრირებაც. საჩვენებელი ღონისძიება მაშველი ძაღლის მიერ სიმულაციური სამაშველო ოპერაციის ჩატარების ჩვენებით დასრულდა.
- **7 ივნისი** - ცნობიერების ასამაღლებელი თეორიული სწავლება ჩატარდა №119 საჯარო სკოლაში. სწავლების დასრულების შემდეგ, სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო საგანგებო სიტუაციის სიმულაცია, რომლის ფარგლებში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, წინასწარ განსაზღვრული სცენარის მიხედვით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოახდინეს. სიმულაციური ევაკუაციის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის პერსონალი და მოსწავლეები.
- **9 ივნისი** - თბილისსა და ხონში მეხანძრე-მაშველებს სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. ღონისძიებების მიზანი იყო ბავშვებისა და უფროსებისთვის უსაფრთხოების ნორმების გაცნობა და მეხანძრე-მაშველის პროფესიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ზემოთ მოყვანილ ღონისძიებებს საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან სისტემატურად

ატარებს და ინფორმაციას ავრცელებს სააგენტოების, ოფიციალური გვერდისა და სოციალური გვერდების მეშვეობით.

<u>საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</u>

- „ბანაკი პოლიციაში“ – „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობა“ - SCOPE პროექტის ფარგლებში, რომლის ორგანიზატორიც არის PH International და ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიურო (INL), სკოლის მოსწავლეებისთვის დაიგეგმა ვიზიტები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში. საანგარიშო პერიოდში, ამავე პროექტის ფარგლებში,"ორბელიანის აკადემიის" 35 მოსწავლე იმყოფებოდა ერთიანი მომსახურების ცენტრში, სამინისტროს აკადემიაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში. სტუმრობისას მოზარდები აღნიშნული დანაყოფების მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ და ადგილზე არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს.
  ფოტომასალა განთავსდა სოციალურ ქსელში და ოფიციალურ ვებგვერდებზე.